– საქართველო მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის საფრანგეთს მომაგონებს. იმ წლებში გამოიკა ერთი საკმაოდ რეზონანსული წიგნი სათაურით „პარიზი და ფრანგული უდაბნო“; მასში მოთხრობილია როგორ უპროპორციოდ იზრდებოდა დედაქალაქი პარიზი, როგორ კარგავდნენ მოსახლეობას რეგიონები, როგორ ხდებოდა სოფლების მიტოვება. პარიზსა და რეგიონებს შორის არსებული დისბალანსის საკითხი ქვეყნის ქალაქგეგმარებითი პოლიტიკის ერთერთი ქვაკუთხედი იყო 1950-1960-იან წლებში: მიმდინარეობდა რეგიონალური ცენტრების განვითარება, მძლავრი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა... შემდეგ, ეკონომიკურმა და სოციალურმა ძვრებმა გამოიწვია ხალხის მასიური გადასახლება ქვეყნის ყველაზე ლამაზ და პერსპექტიულ რეგიონებში (რომლებსაც, აშშ-ს მსგავსად, მზის სარტყელი ეწოდა). პოლარიზაციის და არაპროპორციული განვითარების პრობლემები დღესაც აქტუალურია. 1990-იანი წლებში მთიანი რეგიონების ღარიბი მოსახლეობის დასახმარებლად ამუშავდა ახალი მექანიზმები, მაგალითად სოფლის განვითარების ევროპული პროგრამა LEADER, რომელიც დღესაც მიმდინარეობს. ეს და სხვა მსგავსი პროგრამები მიზნად ისახავს სოფლებში ახალი პროექტების განხორციელების მხარდაჭერას. ბოლო ათწლეულების მანძილზე შეიცვალა ტურიზმის სპეციფიკაცია: მასობრივი ტურიზმი, რომელიც ყოველ სეზონში აწყდება ფრანგულ ზღვისპირეთს, თანდათან უთმობს პოზიციებს ადგილობრივ პროდუქტს, რომელიც ემყარება ლოკალურ ტრადიციებს, ლოკალურ იდენტობას. ხალხს სულ უფრო და უფრო აინტერესებს ავთენტურობა.

ჩემის აზრით, საქართველოს ძალიან გაუმართლა. თქვენ ახლა გზაჯვარედინზე ხართ. თბილისში დავინახე საინტერესო თანამედროვე აღჭურვილობა და ნაგებობები, ახალი კომერციული ცენტრები და გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა. მთაში, მაგალითად, გუდაურში, იწყება თანამედროვე სათხილამურო კურორტის მშენებლობა, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო სამ-

თო სათხილამურო კერებს გაუწევს კონურენციას (მერე რა, რომ სივრცის ორგანიზება და დაგეგმვა აკლია). იგივენივლიად, მცხეთაში განხორციელდა ტურისტული ცენტრის რესტავრაციის შესანიშნავი პროექტი.

მაგრამ მეორეს მხრივ, მე ვფიქრობ, რომ თქვენი ტრადიციები ჯერ კიდევ ცოცხალია და პირვანდელი სახითაა შემონახული სოფლებში. ამ მემკვიდრეობას ამა თუ იმ სახის მხარდაჭერა სჭირდება. მოქმედების სქემა ნათელია და მას მხოლოდ განხორციელება უნდა: სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს ინფრასტრუქტურის (გზების, ქსელების) განვითარება და აამალოს მოსახლეობის ცნობიერება მატერიალური და არამატერიალური ისტო-



view of a street in the village of Lagrasse (south of France)

სოფელი ლურგასის ქუჩა (სამხრეთ საფრანგეთი)

რიული მემკვიდრეობის და ტრადიციების მნიშვნელობის და ფასეულობის საკითხებზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა. რადგანაც ევროპული ტურისტების უმრავლესობა საქართველოში სწორედ მისი თვითმყოფადობის, ცხოვრების სტილის, ხელუხლებელი ბუნების და ქალაქებისა თუ სოფლების უნიკალური იერსახის სანახავად ჩამოვა.

view of renovated facades of the village called Alet-les-Bains (South of France)

სოფელი ალეტ ლე რაინის რესტავრირებული ფასადები (სამხრეთ საფრანგეთი)





*view of the village called Saint-Martin le Viel (renovated facades) (south of France)
სოფელი სან მარტენ ლევიელის რეკონსტრუირებული ფასადები (სამხრეთ საფრანგეთი)*

– What do you think about regions in Georgia? How we should develop them? And what are the principles set up in France to develop tourism?

– I think Georgia still looks a bit as France after end of Second World War. There was a famous book edited at that time called „Paris and the French Desert“. It was about the disproportionate swelling of the capital city, Paris. How regions were losing their population, villages were neglected, abandoned. The idea of an imbalance between Paris and the regions was at the centre of the spatial planning policies carried out in the 1950s and 1960s: development of the regional capitals, major policies for the

construction of major transport infrastructures... Then, economic and societal changes have led to a shift of population towards the most pleasant and dynamic regions (called Sun Belt like in the USA). Till now, there are still problems of polarization and development disparities. To help the poorest or mountainous territories, there are since the 1990s new tools like the LEADER program: a European Program for Rural Development (4th generation now). The aim is to support pilot projects in rural areas. Moreover, in terms of tourism, expectations have also evolved considerably during the last decades: from the mass tourism still visible on the coasts in summer, the demand slips



*Logo of the economic and touristic program implemented by local regional authority (Conseil Départemental de l'Aude) with the financial help of Leader program
ადგილობრივი რეგიონალური ორგანიზაციის - Conseil Départemental de l'Aude -ის ლოგო, რომელმაც განახორციელა ტურისტულ-ეკონომიკური პროგრამა, პროგრამა „ლიდერის“ ფინანსური მხარდაჭერით.*



*Logo of the touristic program on historic castles in South of France (local authority of Aude).
სამხრეთ საფრანგეთის ისტორიული ციხეების ტურისტული პროგრამის ლოგო*

towards needs of local products, anchored in local traditions, markers of the identity. People ask more and more for authenticity.

I think Georgia is lucky to be at a crossroads now. I saw new interesting modern equipment and buildings in Tbilisi, new commercial mall and improved road infrastructures. In mountain, I saw for example in Gudauri the beginning of construction of modern winter sports resort like best world places (even if I felt it looks lacking of spatial organization and planning). In the same way, Mtskheta was rebuilt as a nice touristic place around its cathedral.

But in other hand I think there are still very lively traditions, the villages are still very authentic. Heritage is still there waiting for some kind of an enhancement. Thus the solutions for Georgia are already underway and must be push on: state investments in infrastructures (roads, networks) and awareness of the value of heritage inherited, material as intangible (traditions). In support the regulatory framework is very important. Because what most European tourists will come to find in Georgia is authenticity, in the way of living, in the preservation of large natural landscapes or in the spirit of villages and cities through their architectures.



*view of a street refurbished in the village called Saissac (South of France)
სოფელი საისაკის რესტავრირებული ქუჩა (სამხრეთ საფრანგეთი)*



*central street refurbished in the village of Molleville (south of France)
სოფელი მოლევილის ცენტრალური რესტავრირებული ქუჩა (სამხრეთ საფრანგეთი)*



*view of new modern district built in an old military plot keeping the frame in Issy les Moulineaux (Greater Paris area)
 ისი ლე მულინოს ძველ სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე აღმოცენებული ახალი თანამედროვე რაიონი (პარიზის დიდი რაიონი)*

– რას ურჩევდით ქართველ არქიტექტორებს? როგორი უნდა იყოს მათი ჩართულობა ქვეყნის განვითარებაში, რა გზით შეუძლიათ მათ ხელი შეუწყონ ტურისტების მოზიდვას?

– საქართველო უმშვენიერესი ქვეყანაა; აქ შესანიშნავი ხალხი ცხოვრობს. თქვენი ქვეყნის სილამაზა მის პეიზაჟებში, ქალაქების მრავალფეროვან არქიტექტურაში, რომელიც სხვადასხვა ისტორიული ეპოქიდან გერგოთ მემკვიდრეობად. ჩემის აზრით, მთავარი გამოწვევა სწორედ ამ მრავალფეროვნების შენარჩუნება და გამდიდრებაა. პირველ ყოვლისა, ნუ დაუშვებთ ამ მემკვიდრეობის რაიმე ნაწილის განადგურებას. თანამედროვე არქიტექტურამ უნდა წარმოაჩინოს საზოგადოებაში არსებული განზრახულობა, ამბიციები, მაგრამ არავითარ შემთხვევაში - წარსულის მემკვიდრეობის განადგურების ხარჯზე. თქვენ სათუთად უნდა მოუაროთ თქვენს მემკვიდრეობას, მაგრამ ეს საშუალებას გაძლევთ გამოიჩინოთ კრეატიულობა, მოახდინოთ არქიტექტურული და ურბანული ელემენტების გადათამაშება. ნუ ცდილობთ სხვაგან განხორციელებული კონცეფციების ბრმად გამეორებას, ქართული კულტურა ხომ უკვე უდიდეს სიმდიდრეს ატარებს თავის ნიაღში. არქიტექტურამ ხელი უნდა შეუწყოს ამ კულტურის გავრცელებას. ტურისტები ხომ სწორედ ავთენტურობას ეძებენ და ენთუზიაზმით გამოეხმაურებიან თქვენს გამოწვევას!

ინტერვიუ მოამზადა საქართველოს დიზაინერთა კავშირის თაემ ჯდომარემ, თამარ კიკაბერიძემ





– What is your advice for Georgian architects to participate in development of the country? In the way to attract more tourist?

– Georgia is a beautiful country with wonderful people. With much beauties, in its natural and rural landscapes like in the diversity of existing architectures in its cities, inherited from the different epochs of its past. For me the challenge is really the preservation and enrichment of this variety. And above all do not erase anything. Contemporary architecture must be carried by an intention, an ambition. And should not be done to the detriment of all accumulated heritage, physically as by the proximity scale report between old and new buildings. To be humble and creative with heritage, imaginative also in the reinterpretation of architectural and urban elements. In the first place do not especially seek to import concepts from elsewhere, forget about copied / pasted. Georgian culture is already so rich! Architecture must be a driving force behind the spread of Georgian culture. Tourists look for authenticity and will respond to the call!

**Interview by head of Georgian Designers Union,
TAMAR KIKALEISHVILI
Exclusively for STYLE Magazine**



**view of a modern district of Paris (modern National Library district)
პარიზის თანამედროვე რაიონი (ნაციონალური ბიბლიოთეკის თანამედროვე რაიონი)**



**view of new concert hall of Boulogne-Billancourt built on an island in the Seine River
ბულონ-ბილიანკურის ახალი საკონცერტო დარბაზი კუნძულზე მდ.სენაში**



**view of new concert hall of Boulogne-Billancourt built on an island in the Seine River : aerial view
ბულონ-ბილიანკურის ახალი საკონცერტო დარბაზი კუნძულზე მდ. სენაში აეროხედი.**

სასტუმრო რუმს ყაზბეგი

არქიტექტორები: გოგა ჩხეტია, ია ჩხეერია

ადგილმდებარეობა: სტეფანწმინდა, საქართველო

ინტერიერის დიზაინი: ROOMS - ნატა ჯანბერიძე, ქეთი თოლორაია (www.rooms.ge)

ფართი: 8200.0 კვ. მ.

პროექტის დასრულების წელი: 2012

ფოტოების ავტორი: ირაკლი ბუიშვილი



ROOMS HOTEL KHAZBEGI

ARCHITECTS: Goga Chxetia, Ia Chekheria

LOCATION: Stepantsminda, Georgia

INTERIOR DESIGN: ROOMS - Nata Janberidze, Ketii Toloraia (www.rooms.ge)

AREA: 8200.0 sqm

PROJECT YEAR: 2012


PHOTOGRAPHS: Irakli Buishvili



ყაზბეგი ტურისტული სამოთხეა თვალწარმტაც თერგის ხეობაში. აქ ტურისტებს ბევრი რამ იზიდავს: ფრინველების გადაფრენა, ალპინიზმი, ციხე-სიმაგრეები და კომპლექსი. ყაზბეგი, რომელიც ქართულ-რუსული საზღვრიდან ათიოდე კმ-ის მოშორებით მდებარეობს, თავს მყინვარწვერის ნარმტაცი ხედითა და გერგეთის სამებით იწონებს. საზღვრის მიმდებარედ არსებობა მუნიციპალიტეტს სატრანსპორტო კვანძის ფუნქციასაც ანიჭებს, ახლადგაჩენილი კაზინო და ექსტრემალური სათხილამურო შესაძლებლობები (მაგ. heli ski) კი ამ ადგილს ტურისტებისთვის კიდევ უფრო მეტ მიმზიდველობას სძენს.



- I FLOOR



I-II-III FLOOR



GROUND FLOOR





„რუმის“, რომელიც 15-მილიონიანი ინვესტიციის შედეგია, დაახლოებით 2012 წლის ივლისში გაიხსნა. მისმა გაჩენამ ადგილობრივი მოკრძალებული სასტუმრო ინფრასტრუქტურა დრამატულად გააფართოვა. ინვესტირებმა, თბილისის „ჰოლიდი ინის“ აქციონერებმა საკუთარ თავზე აიღეს ყაზბეგში თანამედროვე მაღალი სტანდარტების სასტუმროს აშენება.



არქიტექტორისგან. Rooms-ის ამოცანა იყო 156-სადინებლიანი სასტუმროს ინტერიერის და ექსტერიერის დიზაინის დამუშავება. ვინაიდან სასტუმრო „რუმსი“ კავკასიონის ჯადოსნურ მთებში უნდა აშენებულიყო, Rooms-მა მიზნად დაისახა ერთგვარი ოცნების სასტუმროს შექმნა. პროექტზე მუშაობის დაწყება დიზაინერებს ნოლიდან არ მოუწიათ: მათ უნდა გამოეცოცხლებინათ მთაგორიან პეიზაჟში ჩაკარგული საბჭოთა ტურისტული ბაზა. Rooms-მა წარმატებით გაართვა თავი ამ ამოცანას. სასტუმროს ფორმები და ფერები ორგანულად იმეორებს ყაზბეგის მთების ფერებს. შორი მანძილიდან, გარკვეული კუთხიდან ისე ჩანს, თითქოს მთის წვერები შენობას სახურავივით ადევს თავზე.

სასტუმროს ფასადი ხითაა მოპირკეთებული; გრძლად გაყოლებულ აივნებზე ლითონის ტიხრებითაა გამოყო-



ფილი ცალკეული ოთახების შესაბამისი ინდივიდუალური სივრცეები. ამგვარად ნარმოქმნილი ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზები შენობას მარტივ, დაცულ და გეომეტრიულ იერს ანიჭებს. იგივე კონცეფციას იმეორებს ნაგებობის ფერები და კონტურები, რომლებიც ორგანულად ერწყმის და კიდევაც ალამაზებს თავბრუდამხვევ მთიან პეიზაჟს. ხის მოპირკეთებაც ამ თითქმის ხელუხლებელ ბუნებაში განსაკუთრებით დინამიურად და მიმზიდველად გამოიყურება; სამთო ტურისტული ცენტრის სტილის ინტერპრეტაცია თანამედროვე კონსტრუქციაში ნარამტებული გამოდგა.

ინტერიერში ბუნებრივი მასალების დომინირება აგრძელებს სამთო ტურისტული ცენტრის სტილს და განსაკუთრებულ კომფორტს და სიმყუდროვეს სთავაზობს სტუმრებს. ფოიეში მეტად თანამედროვე გარემოა შექმნილი, სამრეწველო დიზაინის ელემენტები ერწყმის ტყავის სავარძლებს, რომლებიც თითქოს საგანგებოდაა ნამოღებული რომელიმე კლუბიდან თუ სიგარ-ლაუნჯიდან. ფოიეს საერთო სივრცეში დიზაინერებმა ნიგნის თაროების დახმარებით მყუდრო, განმარტოებული კუთხეები შექმნეს.

რესტორანი სტუმართმოყვარე და მეგობრული სივრცეა, აქ სტუმრებს შეუძლიათ მიუსხდნენ დიდ საერთო მაგიდებს და მიეფიცხონ ბუხარს.

ოთახებში განსაკუთრებულად მშვიდი გარემოა შექმნილი მარტივი დიზაინის, ბუნებრივი მოსაპირკეთებელი მასალების და დაბალი ინტენსივობის განათების დახმარებით.





From the architect: Rooms was aimed to create an interior and exterior concept for mountain hotel with 156 rooms. As „Rooms Hotel“ is situated in magical Caucasian mountains, Rooms wanted to create a dream hotel. The mountainous environment and the existing structure of the former tourist center from soviet times were considered when creating the mood of the hotel's exterior and interior design. If you observe the exterior from a distance, at a particular angle, you read the mountaintops as the building's roof design.

The façade is decorated with wood & metal partitions dividing rooms and balconies while creating vertical and horizontal lines, which give the entire building a simple, protected and geometric look. The exact same concept is perceived in the tones and the shapes of the structure. These features both organically compliment the great outdoors and we can dare say that this building adds to the beauty of the landscape.





The presence of the specific wood finish on such a green environment is breathtakingly dynamic and inviting.

The use of natural materials in the interior creates „mountain hotel“ style, guests feel themselves immediately at home. The ambiance of the lobby is very contemporary, with elements of industrial design combined with leather armchairs found in a club or cigar lounge. While planning the lobby area, we preferred to use furniture to divide the space and create comfortable places with the privacy encountered in a living room.

The Restaurant area is very friendly, where we have a fireplace and communal tables for guests. The rooms of the hotel carry more relaxing aura, which is archived by the use of organic materials, dimmed lighting simplicity.

The façade is decorated with wood & metal partitions dividing the rooms and balconies while creating vertical and





horizontal lines, which give the entire building a simple, geometric look. The exact same concept is perceived in the tones and the shapes of the structure. These features both organically compliment the great outdoors and we can dare say that this building adds to the beauty of the landscape. The presence of the specific wood finish on such a green environment is breathtakingly dynamic and inviting. The effect of a mountain lodge in a mod structure is perceived with a great success.



The use of natural materials in the interior creates „mountain hotel“ style, where guests feel themselves immediately at home. The ambiance of the lobby is very contemporary, with elements of industrial design combined with comfortable leather armchairs found in a club or cigar lounge. Bookshelves divide the space and create comfortable space with the privacy encountered in a living room.

The mountainous environment and the existing structure of a former tourist center from soviet times were considered when creating the mood of the hotels exterior and interior design created by Rooms is simple .The wooden facade and balconies built of steel create vertical and horizontal lines, giving the entire building a simple, geometric look. The shapes and colors reflect the surrounding the Kazbegi mountains.








შილდას სანარმო

პროექტის ავტორი: არქიტექტორი დავით დანელია

კონსტრუქტორი: რამაზ აფხაძე

ტიქნოლოგი: ომარ კიკილაშვილი



პროექტის ავტორისგან:

ლვინის კომპანია „შილდა“ 2015 წელს დაარსდა.

„შილდა“-ს სანარმო კახეთის რეგიონის შუაგულში, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. შილდაში მდებარეობს და კავკასიონის ქედის სამხრეთი კალთის ძირშია გაშლილი. ეს უნიკალური ადგილი მოქცეულია მევენახეობის ერთ-ერთ ყველაზე სპეციფიკურ ზოლში – ქინძმარაულის ზონაში.

„შილდას“ სანარმო ორ ჰექტარზეა გაშენებული და აღჭურვილია თანამედროვე იტალიური და ფრანგული დანადგარებით.

სანარმო სეზონზე 2000 ტონა ყურძენს გადაამუშავებს, რაც წელიწადში 1 300 000 - 1 400 000 ბოთლი ღვინის წარმოების შესაძლებლობას იძლევა.

დღეისათვის „შილდა“ 17 სახეობის ღვინოს, საკონიაკე ბრენდებს, ყურძნის არაყსა და ჭაჭას აწარმოებს.

სანარმოს დაპროექტების საწყის ეტაპზე მთავარი ამოცანა ტერიტორიაზე შენობების სწორი განაწილება გახლდათ, რაც შემდგომში მათი ფუნქციური დანიშნულებითა და სანარმოს ტექნოლოგიური ციკლით იყო ნაკარნახევი.

სანარმო კომპლექსი სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება. პირველია ყურძნის მიმღები და გადამამუშავებელი შენობა, სადაც დანერგული სითხე ღვინდება. მის მიმდებარედ განლაგებულია ღვინისა და საკონიაკე ბრენდის შენობა, სადაც მზადდება საბოლოო პროდუქტი, რომელიც იქვე ინახება. ამ შენობის გვერდით, დასავლეთით, მდებარეობს სპირტსახადი კოშკი, რომელიც რეგიონში თავისი მასშტაბურობით გამოირჩევა.





ტექნოლოგიური და ფუნქციური დაგეგმვის შემდეგ, დღის წესრიგში დადგა შენობის ვიზუალური მხარის გადანყვეტის საკითხი. თავიდან განიხილებოდა მარტივი, „სენდვიჩ პანელის“ მასალის გამოყენების შესაძლებლობა, თუმცა, საბედნიეროდ, დამფუძნებლებთან დამატებითი კონსულტაციის შედეგად, ეს მოსაზრება შეიცვალა და ფასადის მოსაპირკეთებლად ძველი ქართული აგური შეირჩა. ამის შემდეგ, მივიღე გადანყვეტილება, აგურის მოცულობაში „სენდვიჩ პანელის“ მოცულობის ჩასმით, გამეერთიანებინა ძველი და ახალი მასალები და ამრიგად, შენობისთვის შემექმნა ორიგინალური იერსახე. კიდევ ერთხელ ვუხედი მადლობას კომპანიის ხელმძღვანელობას ამ შესაძლებლობისთვის.

კონცეფციის მთავარი ამოცანა მარტივი გადანყვეტილებით (თანამედროვე „სენდვიჩ პანელისა“ და ძველი ქართული აგურის შეზავება) საინტერესო შედეგის მიღება იყო. ამ კომბინაციაში, ვფიქრობ, დიდი როლი „სენდვიჩ პანელის“ ფერმაც შეასრულა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მცირე არქიტექტურული დეტალები, რომლებიც კომპლექსს გამორჩეულ ელფერს სძენს - მაგალითად, მასიური ხის ცენტრალური კარები ყურძნის გადამამუშავებელ შენობაზე და ძველი კრამიტის ჩარდახი ღვინისა და კონიაკის ბრენდის ჩამომსხმელ შენობაზე...









SHILDA'S ENTERPRISE

AUTHOR OF PROJECT: Architect David Danelia
CONSTRUCTOR: Ramaz Apkhadze
TECHNOLOGIST: Omar Kikilashvili
TECHNOLOGIST: The wine company was founded in 2015



FROM AUTHOR OF PROJECT:

Shilda's enterprise located in the heart of the Kakheti region, at Shilpa village of Kvareli municipality.

The „Shilda“ plant is located on two hectares and equipped with modern Italian and French facilities.


At the initial stage of the design of the enterprise the main task was proper distribution of buildings in the area.

The enterprise complex consists of three main components. The first is the grape receiver and processing building, where the fluid is written and transformed into wine. The nearby located wine and cognac brand building, where the final product is prepared and stored. Next to this building, the west is located Alcohol distillation tower, which is distinguished by its size in the region. Besides, remarkably small architectural details, which gives the complex a distinctive self.





KHT HOUSE





არქიტექტორები: I.R.A.

აღმგებლები: კაპოკუ, იამაგატას პრეფექტურა, იაპონია

მთავარი არქიტექტორი: International Royal Architecture

დიზაინერი: აკინორი კასეგაი, დაისუეე ცუნაკავა

კონსტრუქცია: KAP

ფართი: 197.0 კვ. მ.

პროექტის შესრულების წელი: 2013


ფოტოების ავტორი: ნობუაკი ნაკაგავა


არქიტექტორისგან: წარმოგიდგენთ ორი ოჯახისთვის განკუთვნილი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტს. კომპლექსში შედის ერთსართულიანი სახლი ოჯახის უფროსი თაობისთვის და ორსართულიანი სახლი ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც ერთმანეთთან აკავშირებს იაპონურ სტილში შესრულებული დარბაზი ტერასით.

იამაგატას პრეფექტურაში ზამთარი მძიმეა და სახლები ხშირად ზიანდება თოვლისგან; კლიმატური პირობების გათვალისწინებით, საცხოვრებლის სახურავი და კედლები ნაწილი დაფარულია თეთი-ალუმინის ფურცლებით, ხოლო კედლების ის ნაწილი, რომელიც მხოლოდ არყის ხის პანელებითაა მოპირკეთებული, საკმარისად მყარია, რომ თოვლის წნეხს გაუძლოს.

ვინაიდან ჩვენს მიერ დაპროექტებული რეზიდენცია ორი ოჯახისთვისაა განკუთვნილი, კომპლექსის შემადგენელ ორივე ნაწილში დამოუკიდებელი სანიტარული კვანძებია დამონტაჟებული და იაპონური სტილის დარბაზიც, რომელიც ორ სახლს შუაა მოქცეული, ტიხრებითაა აღჭურვილი. საჭიროების შემთხვევაში, მაგალითად ყოველწლიური საოჯახო ცერემონიების დროს, ეს ტიხრები იხსნება.













KHT HOUSE



ARCHITECTS: I.R.A.

LOCATION: Kahoku, Japan

ARCHITECT IN CHARGE: International Royal Architecture

DESIGN TEAM: Akinori Kasegai , Daisuke Tsunakawa

STRUCTURE DESIGN: KAP

AREA: 197.0 sqm

PROJECT YEAR: 2013

PHOTOGRAPHS: Nobuaki Nakagawa



rom the architect. Here we introduce a design plan of the two-family residence in Yamagata prefecture.

It is composed of a one-story house for elder family, a two-story house for younger family, and a japanese style room with a terrace between those houses. The roofs of houses of both sides smoothly connected, although their heights are not equal.

Considering the effects of snow cornice and snow damages, we connect its roof and walls seamlessly with galvalume steel sheets, and the walls which expose birch plywoods in each room support the heavy weight of snow.

Although this is kind of the so-called independent type two-family residence, in which a set of wet area is installed in each house, the japanese style room is placed in between; while the japanese style room is separated in two for each of the families by default, it can also be connected for annual ceremonies.





პატარა დიდი სახლი

მდებარეობა: თბილისი, საირმის გორა
 ფართობი: 60 კვ.მ
 ავტორი: მაია წერეთელი

საცხოვრებელის პატარა სივრცეში კომფორტი ყველგან ზედმიწევნით ფიგურირებს. ულამაზეს ინტერიერულ მონაკვეთთა სივრცის სწორად ორგანიზაცია, ფერისა და ბუნებრივი მასალის ჰარმონია, ოსტატურად მოფიქრებული და გადანაწილებული განათების დიზაინი, საერთო ინდუსტრიულ-ეთნო სტილისტურ გადანწყვეტასთან შესაბამისი ფურნიტურა, გემოვნებით შერჩეული ტექსტილი და აქსესუარები უზადო ეკოლოგიურ გარემოს ქმნის, საერთო იდეითა და თემით გამთლიანებული ვრცელი ჰარმონიული ინტერიერული სახის შექმნას გულისხმობს, რომელშიც დეტალურადაა გათვლილი ყოველი ნიუანსი, გათვალისწინებულია მოცემული გარემოს ფუნქცია თუ სპეციფიკა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს პატარა დიდი სახლი, ერთერთი საუკეთესო საცხოვრებელი სივრცეა თბილისში სადაც ყოფნა არასოდეს მოგებზრდებათ.

ნიმე ლალია

ფოტო: რაფაელ არზუმანოვი











THE LITTLE BIG HOUSE

LOCATION: Sairme hill, Tbilisi


AREA: 60 sq.m.

AUTHOR: Maia Tsereteli

The design solution is highly original - even chairs, tables are far from being standard. Peace and comfort are the main dominants of the place. The refined interior is perfectly organized; harmoniously matched colors and natural materials, skillfully planned and distributed lighting, high quality furniture, conforming to the purpose and style of this or that interior zone, well-chosen textile and accessories form a flawless atmosphere integrated with a general ethno-industrial stylistic theme, highlighting individual character of the space. The Little Big House is the perfect meeting place for friends, families and business partners.

NINO LAGHIDZE

PHOTO BY: *Rafael Arzumanov*





საცხოვრებელი ბინა


მდებარეობა: თბილისი, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა
ავტორი: ილია ზაქარაია. საპროექტო სტუდია „კუბი“


დიზაინერ ილია ზაქარაიას პროექტით შესრულებული საცხოვრებელი ბინის ინტერიერის გამომხატველობას, მისი განუმეორებლობა განსაზღვრავს. მასალისა და ფორმის ლაკონურობა, ორიგინალური დიზაინი და კომპოზიციური გრაფიკა, სივრცეს ვიზუალურ ჟღერადობას მატებს. საცხოვრებელში ფორმასთან, ფაქტურასთან, ფერთან დამოკიდებულება, არქიტექტორის პროფესიონალიზმს, გემოვნებას, შემოქმედებით პრინციპებს გამოავლენს და არაორდინალურია. მის მიერ შემუშავებული თემატური სცენარით შთამბეჭდავი გარემო წარმოიქმნა, რომლის კოლორიტი დიზაინერული „დეკორაციებით“, ცალკეული „მოდულური“ ელემენტებით, ტონალობათა ლავირებითაა შექმნილი. მთლიანობაში კი ავტორის ორიგინალური და საინტერესო მიგნებები ერთ ამოცანას ემსახურება - შეიქმნას ექსკლუზიური გარემო - მშვიდი, ესთეტიკური ყოფისა და მაღალი კომფორტის გარანტი - კონკრეტული ოჯახისათვის.

ნინო ლალიძე











RESIDENTIAL APARTMENT

LOCATION: I. Gogebashvili str., Tbilisi
AUTHOR: Iliia Zakaraia – Cube Studio

This residential interior, designed by Iliia Zakaraia. Due to „transparency,, of general composition, each of their designs leaves an impression of integrity which cannot be broken down into separate spaces. Classical distribution and diversity of geometrical forms, reserved use of carefully picked and matched details, impressive compositional pattern reveal the designers taste, professionalism and creative principles. Iliia Zakaraia is masterful in creating environments which evoke comfort and peace-personalized living spaces where both repose and work are equally pleasant.

NINO LAGHIDZE







უშაბი

დიზაინი:

„Rooms“ - ქეთი თოლორაია
ნატა ჯანბერიძე



„რედისონ ბლუ ივერია თბილისში“ არსებული რესტორანი „უმამი“ აზიური ფიუჟენ-რესტორანია, რომლის ინტერიერიც გამოირჩევა მოდერნიზებული აზიური სტილის და თანამედროვე მინიმალიზმის კომბინაციით. რესტორანში სუფევს თბილი და მშვიდი ატმოსფერო, რომელიც შინაგანი ჰარმო-

ნიის გრძნობას აღვივებს. ხის იატაკს და კედლებზე დატანილ ხელნაკეთ ხის პანელებს შესანიშნავად ეხამება „Rooms“-ის საავტორო ავეჯი, მაგალითად, თითბერის და მარმარილოს კონსოლი „in-Line“ და ლითონის გეომეტრიული ტიხრები. სადა ხაზების და გლუვი ზედაპირების ლაკონური ესთეტიკით გაჟღერნით სივრცეს ნაკლებად პრეტენციოზულ მაგრამ მდიდრულ იერს ანიჭებს ავეჯის პრიალა თითბერის ზედაპირები და

ჰარმონიულად შეხამებული დეკორატიული ელემენტები.

რესტორან „უმამის“ შთამბეჭდავი ღია სამზარეულოს შექმნისას, Rooms-ის დიზაინერებმა აქცენტი გააკეთეს აზიურ კულტურასა და მოდერნისტულ სანყისებზე. ლურჯი და მინისფერი ტონების ელევანტური პალიტრა იდეალურ გარემოს ქმნის განსაკუთრებული გამოცდილების მისაღებად და ქალაქის ხმაურისგან მოშორებით, ძენის სიმშვიდესი დასასვენებლად.









UMAMI

Designed by Rooms | 2015
DESIGNERS: Keti Toloraia / Nata Janberidze

Located in the Radisson Blu Iveria Hotel Tbilisi, Umami is an Asian fusion restaurant that combines a modernized Asian style with a contemporary minimalism approach. The interior has a warm yet serene, atmosphere evoking a sense of harmony from within. Wooden floors along with hand crafted wooden wall panels are perfectly balanced with custom designed pieces from Rooms like the „in-Line“ console made of brass and marble and geometrical metal room dividers. Designed with a minimalist aesthetic of simple lines and clean surfaces the space is complimented by the use of polished brass for the furniture pieces and other decorative details that emanate a subtle luxuriousness without overwhelming the senses.

Rooms focused on Asian culture and modernist origins to create the striking open kitchen Umami restaurant. With a subtle palette of blues and the rich, earth-toned selection of materials and fabrics seen in the soft furnishings, it is the ideal place to have a sensory experience and is a great escape from mayhem of the city into the serenity of Zen.





ჩხირა – ახალი ქართული ბრენდი

ადგილმდებარეობა: ი. აბაშიძის ქ. N79, თბილისი

საერთო ფართი: 30 კვ.მ

დიზაინის ავტორი: ალექსანდრე ბურჭულაძე და კომპანია Artytechs

და

ბრენდი „ჩხირა“-ს დამფუძნებლები: ალექსანდრე ბურჭულაძე, დავით ჩხეიძე

2017 წლის 7 ოქტომბერს, თბილისში, ახალი ქართული ბრენდის - „ჩხირას“ პირველი საიუველირო სალონი გაიხსნა და დავით ჩხეიძის ექსკლუზიური საიუველირო კოლექციის პრეზენტაცია შედგა.

დავით ჩხეიძის ნამუშევრები სტილისტურად აბსოლუტურად გამოირჩევა სხვა ბრენდული საიუველირო ნამუშევრებისგან. თითოეული მათგანი დიდი რუდუნებით, უსაზღვრო ფანტაზიის და პროფესიონალიზმის გამოვლენით და მასალის აბსოლუტური ფლობით არის შექმნილი.

სალონის სივრცეში მაღალი ხარისხის ბრენდის წარმოსაჩენად და შესაბამისი დადებითი განწყობის შესაქმნელად საინტერესო ინტერიერი შეიქმნა. მისი სტილი თავისუფალია. საზოგადოებრივ სივრცეში მოულოდნელ დიზაინერულ მტრისებებს, სიმსუბუქე შეაქვთ და მოსახერხებელ არქიტექტონიკას ქმნიან. სტილისტურ მთლიანობაში, თითოეული მონაკვეთის ინდივიდუალურობა და ფუნქციურობა იკვეთება. თავისუფალი ატმოსფეროს შექმნის იდეას სივრცის ყოველი ელემენტი ექვემდებარება. კონსტრუქციული თუ დეკორატიული დეტალების ერთობლიობა ინტერიერს ვიზუალურად ზრდის, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მასში მუდმივად ცვალებადი პროდუქციის არაორდინალურობას, ფერთა სიღრმეს თუ ინტენსიობას.

და კიდევ ერთი, ვფიქრობთ, მეტად მნიშვნელოვანი „დეტალი“ საიუველირო სალონის ექსტერიერის გადამწყვეტისას - ეს არის სალონში ასავლელი კიბე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მეტად მსუბუქი



მარცხნიდან: ბრენდი „ჩხირა“-ს დამფუძნებლები: დავით ჩხეიძე, ალექსანდრე ბურჭულაძე
კონსულტანტები: ქრისტინა აბაზაძე და მაიკო დედანაშვილი
Left to right: Founders of Chkhira's brand: David Chkheidze, Alexander Burchuladze
Consultants: Kristina Abazadze, Maiko Dedanashvili

და მოსახერხებელი მანევრით მოძრავ „პანდუსად“ გარდაიქმნება და დიდ კომფორტს უქმნის უშპ პირებს. კიბის, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი დიზაინი ბრენდის ერთ-ერთი დამფუძნებლის ალექსანდრე ბურჭულაძის იდეით და ძალისხმევით შეიქმნა და ერთადერთია ქალაქში.



CHKHIRA – NEW GEORGIAN BRAND



LOCATION: I. Abashidze str. # 79 Tbilisi

TOTAL AREA: 30 kv.m

DESIGN AUTHORS: Alexander Burchuladze & Artytechs Company
and

FOUNDERS OF CHKHIRA'S BRAND: Alexander Burchuladze, David Chkheidze

The first jewelry salon of the new georgian brand - Chkhira - was opened On October 7, 2017. Also, in this salon the presentation of the David Chkheidze's exclusive jewelry collection was held. David Chkheidze's works are stylistically absolutely different from other brands. Each of them is created with great fantasy, professionalism and knowledge of the material.

To create a positive environment, required for promotion of high quality brand, the authors created a modern interior space with clear-cut architectural graphics, original choice of furniture and contrasting colors. Unexpected design touches add lightness and comfort to the public space. Stylistic integrity of the interior does not subdue individuality and functionality of constituent parts. All elements of the space contribute to the general feeling of freedom. A diverse palette of constructional and decorative details is applied to visually increase the interior.

At the exterior of the salon, with Alexander Burchuladze 's idea and effort was created by the extraordinary design of the staircase. A staircase equipped with modern technologies. It is, if necessary, transformed into a ramp. It is the only one in the city.





სივრცის თვითმყოფადობა




რესტორანი შატროვანი

მდებარეობა: თბილისი, გურამიშვილის გამზირი N76

ავტორი: მარიამ კაპანაძე – Marita Design Studio

წარმატებული ახალგაზრდა დიზაინერის მარიამ კაპანაძის პროექტით განხორციელებული, ახლადგახსნილი, რესტორანის - „შატროვანის“ გარემო სასიამოვნო მოულოდნელობებზეა აგებული. სივრცეში, ორიგინალური კომპოზიციების, ნაკეთობების, აქსესუარების გადანაწილება განსაზღვრულ კანონზომიერებებს ემორჩილება და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის საერთო ატმოსფეროს. მთლიანი სივრცე საინტერესო თემებითაა სავსე და მის ორგანიზებაში სწორედ ეს გახდა მთავარი მხატვრული პრინციპი. სალონში საზოგადოებრივი ცხოვრება რამდენიმე დომინანტი ნიუანსისადმია კონცენტრირებული, თუმცა არალოკალურად. აქ მოხვედრილი დამკვირვებელი, დეკორატიული ნაკეთობებით შექმნილი ექსპოზიციის ფონზე აღიქვამს, რომ დღეს, საზოგადოებრივი ინტერიერის ესთეტიკა საჭიროებს არა მხოლოდ თანამედროვე ფორმებსა და საგნებს, ის აუცილებლად ეყრდნობა სახასიათო ნიუანსებს, ცალკეულ ასოციაციებს, რაც მთელი სივრცის თვითმყოფადობის გამოსავლენადაა აუცილებელი.

ნინო ლალიძე





INDIVIDUALITY OF THE SPACE


Shatrovani Restaurant

LOCATION: 76 Guramishvili Avenue, Tbilisi

AUTHOR: Mariam Kapanadze - Marita Design Studio

The interior of newly-opened Restaurant „Shatrovani“, designed by young successful designer Mariam Kapanadze is built up on the effect of pleasant unexpectedness. Original compositions, articles and accessories are distributed within the space in accordance with definite rules, by large defining the general character of the atmosphere. The interior is filled with an array of interesting themes, and this is the key creative principle underlying its design. The public activity within the interior is focused on several dominants, though in a non-localized manner. The visitors, looking at this improvised exposition of decorative articles, are sure to feel that the aesthetics of modern public interiors should be based not only on modern-style forms and objects, but also on the characteristic touches and associations with the past, indispensable for highlighting individuality of the space.

NINO LAGHIDZE







ბუტიკ სასტუმრო რუსთაველი



მდებარეობა: ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი
 ავტორი: კახაბერ დეკანოიძე - „ემ-არტი“

საზოგადოებრივი სივრცის სწორად ორგანიზება, ფერისა და მასალის ჰარმონია, ოსტატურად მოფიქრებული და გადანაწილებული განათების დიზაინი, ინტერიერის საერთო სტილისტური გადანყვევების შესაბამისი ფურნიტურა, გემოვნებით შერჩეული აქსესუარები... - თითოეულ მოცემულ ამოცანას, ორიგინალური იდეების შემოთავაზებით და მათი წარმატებულად განხორციელებით, დიზაინერი წყვეტს.

დიზაინერის კახაბერ დეკანოიძის პროექტით შექმნილი ბუტიკ სასტუმრო „რუსთაველის“ ინტერიერი სპეციფიკური დახვეწილი დეკორით გამოირჩევა, შესაბამისად, გარემო კომფორტული და მყუდროა. დეტალებამდე გათვლილი სივრცის ფუნქციური ორგანიზება, ინტერიერის თავისებურებაა. ავტორის ძალისხმევით აღქმადი ლაკონიზმით შენიღბული ზუსტად გათვლილი გადანყვევების ფონზე, მისი სპეციფიკის შესაბამისი, სტილური ინტერიერი შეიქმნა.



RUSTAVELI BOUTIQUE HOTEL

LOCATION: Freedom Square, Tbilisi
AUTHOR: Kakhaber Dekanoidze - M-Art

Correct space organization, harmony of colors and materials, skillful finishing and lighting, interesting interior design and well-chosen furniture, tasteful accessories alongside with clear identity and style, conforming the functional meaning of the space... - such are attributes, describing a successful architectural solution. Interior of Rustaveli Boutique hotel, designed by Kakhaber Dekanoidze, provide an open and comfortable working environment with refined, purpose-specific style, corresponding to modern requirements.







SEPO GALLERY

SEPO GALLERY 2017 წლის 6 ოქტომბერს გაიხსნა იგი მდებარეობს უზნაძის ქ. N33 ში. აქ თავმოყრილია არტისტ თენგიზ (სეფო) სეფიაშვილის, როგორც ძველი გრაფიკული ნამუშევრები, ასევე ბოლო წლებში შესრულებული პოსტმოდერნისტული ქანდაკებები.

გალერეაში წარმოდგენილ ყველა ქანდაკებას თავისი პერსონაჟი ყავს. ზოგი მათგანი რეალურია. ყველა ინსტალაცია კი, რაღაც ამბავს ყვება. არტისტს, ინსპირაციას სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებიც აძლევს, თუმცა საგანს საგნისთვის არ იყენებს. ყოველი დეტალის ქვეტექსტში ხელოვანის დამოკიდებულება დევს. მუდმივი ძიება და წინსვლა, მისი ხასიათის მთავარი ნიშნებია და როდესაც სკულპტურას დაასრულებს თუ საგამოფენოდ გზავნის, ამ ფაქტს, განვლილ ეტაპს უწოდებს - ის, რაც იყო, აღარ აკმაყოფილებს.

თენგიზ სეფიაშვილის შემოქმედება ახალი სიტყვაა პოსტმოდერნისტულ და მის მომდევნო ხელოვნებაში.

ნამუშევრების ნახვა ფართო საზოგადოებისთვის



ვის სადღესასწაულო დღეებში იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა მთელ მიმდებარე ტერიტორიაზე (ახალ თბილისში) პარალელურ რეჟიმში, სხვადასხვა კულტურული აქტივობები იმართება (თბილისობა, სამობაო და სააღდგომო დღესასწაული). დანარჩენ პერიოდში კი, გალერეაში მრავალი პრივატული ჩვენება ჩატარდება, რომელიც ქართველ და უცხოელ არტისტებს და არტ კურატორებს უმასპინძლებს.





SEPO GALLERY

The Sepo Gallery was opened on October 6, 2017. It is located on 33 Uznadze Street (Tbilisi). Here is the collection of Artist Tengiz (Sepo) Sepiashvili's graphic works and postmodern statues.

Tengiz Sefiashvili's creation is a new term in postmodern and subsequent art.

View works will be available in the festive days, when other cultural activities taking place in parallel in the surrounding area (in New Tbilisi).





ფართა სტიქიის ფილოსოფია



ფერწერის, როგორც ხელოვნების ნიმუშის დიზაინერული ელემენტი საზოგადოებრივი თუ საცხოვრებელი სივრცის აუცილებელი ელემენტია. ბოლო ხანებში იგი განსაკუთრებულ პოპულარობას იძენს. მასშტაბური ფერწერული კომპოზიციის ცენტრს, მისი დიზაინის ლოგიკურ დასრულებას წარმოადგენს და ხშირ შემთხვევაში, ინტერიერის თუ ექსტერიერის გადაწყვეტა მის კოლორზეა დამოკიდებული. ფერთა სტიქიის ფილოსოფია შემოქმედებითი იდეების საფუძველია და თანამედროვე დიზაინერული საუკეთესო ნიმუშების შექმნისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მოცემულ ჭრილში, მეტად მრავალმხრივია არქიტექტორ ლია კობერიძის შემოქმედება. მისი

ნამუშევრები მომხიბვლელია, ოსტატობის ხარისხით და პიროვნულობის ნიშნითაა აღბეჭდილი.

ლია კობერიძემ თანამედროვე ხელოვნების კლასიკური საფუძვლების აღქმითა და მათი ემოციურ პრიზმაში გატარებით, საკუთარი გაცნობიერებული შემოქმედებითი სახე წარმოაჩინა. ცალკეული მოცულობისა თუ სივრცისათვის შექმნილი მრავალფეროვნება კი, მისი შემქნელის მიმართ ინტერესებს მუდამ აძლიერებს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმისადმი მიდგომით, კომპოზიციების უჩვეულო, პირობითი თუ კონკრეტული თემები სამუშაო სიბრტყეზე სხვადასხვა სტატიკურ და დინამიკურ სისტემად გამთლიანებულ პალიტრად გარდაიქმნება.



ჩვენს რეალობაში ლია კობერიძის უშუალო ძალისხმევით მრავალი ინტერიერული სივრცე გამრავალფეროვნდა. მის მიერ შექმნილი შემოქმედებითი სამყარო მდიდარი და პოეტურია.

ნიმუ ლალიძე





COLOR PALETTE PHILOSOPHY

Painting as a work of art is an important design element, enjoying increasing popularity in both public and residential interiors. Large-scale paintings are efficient key points, providing logical finishing to architectural compositions - quite often, their color determine overall interior and exterior design. Philosophy of this color palette, implying speed motion in any of their diverse forms, suggests creative ideas and plays an important role in creation of the best samples of modern design.

In this regard, activities of architect Lia Koberidze, who strives to express her unusual design ideas through color, appear diverse and original. Lia Koberidze 's works are marked with high performance skill and individuality, reflecting both the author's inner world.

Her art integrates classical background of modern art and her own emotional self into unforgettably colorful personal style, leaving an indelible impression on the onlookers.



ღია არქიტექტურული კონკურსი

2017 წლის 25 მაისს შპს „იბის საქართველოს“ მიერ, ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის ქ.-ის მიმდებარე ტერიტორიაზე აპარტ ოტელის შენობის ესკიზურ პროექტზე ღია არქიტექტურული კონკურსი გამოცხადდა. კონკურსის ტექნიკური მხარდამჭერი საქ არიტექტორთა ასოციაცია იყო. კონკურსის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ღია შემოქმედებითი პაექრობის გზით, „პროგრამა-პირობებით“ განსაზღვრული საკონკურსო ტერი-

ტორიისთვის სივრცით-კომპოზიციური და ესთეტიური გადანწყვეტის მიღება და ამ გადანწყვეტის კონტექსტში, პრაქტიკულ შედეგებზე ორიენტირებული, საკონკურსო არეალზე სამვარსკვლავიანი აპარტ ოტელის ტიპის სასტუმრო კომპლექსის ესკიზური პროექტის გამოვლენა.

საკონკურსო ნამუშევრების მიღება გაგრძელდა 2017 წლის 16 აგვისტომდე. ნამუშევრები წარმოდგენილი იქნა ელექტრონულად საქართველოს

1 ადგილი - მინდია მურვანიძე, უჩა უჩავა. პროექტის ID 388



არქიტექტორთა ასოციაციის ვებ-გვერდზე - www.archiaward.com, სულ, განსახილველად შემოვიდა 18 პროექტი.


კონკურსის საუკეთესო პროექტები გამოავლინა საკონკურსო 10 ნევრიანმა კომისიამ - 7 მათგანი დაკომპლექტდა პროფესიონალი არქიტექტორებისგან, ხოლო 3 ნევრი - კონკურსის ორგანიზატორის წარმომადგენლებისგან. ჟიურის ყოველ ნევრს კონკურსის საიტზე, პროექტების შეფასებისთვის სპეციალური, ინდივიდუალური კოდი და პაროლი მიენიჭა. კონკურსის ვებ-გვერდზე ატვირთული ყოველი პროექტი შეფასდა 10 ბალიანი შკალით, ფარული კენჭისყრით.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით შეირჩა 5 საუკეთესო პროექტი, რომლებიც დაიბეჭდა და გამოიფინა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში, თუმცა კონკურსის ორგანიზატორის გადაწყვეტილებით ფულადი პრემია - პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული პროექტების ავტორები დაჯილდოვდნენ.


კონკურსის საპრიზო ფონდი შეადგენდა 60 000 ლარს. I ადგილი - 30 000 ლარი; II ადგილი - 20 000 ლარი; III ადგილი - 10 000 ლარი.

წარმოგიდგინთ ღია არქიტექტურული კონკურსის ნომინირებულ პროექტებს:

II ადგილი - ნინო მახარაშვილი. პროექტის ID 393



III აღბილი - ბიორგი სეცურიანი. პროექტის ID 376



IV პროექტი - ოთარ სუსაშვილი. პროექტის ID 384



V პროექტი - ბიორგბი ქუჩა. პროექტის ID 390

CAR DESIGNER

Romeo Zhorzholiani
Artist and designer

მხატვარი და დიზაინერი რომეო ჯორჯოლიანი თანაბარი დატვირთვით მუშაობს სამრეწველო და საყოფაცხოვრებო დიზაინის სფეროში. იდენტური გატაცებით ქმნის მანქანის, დეკორატიული ნაკეთობისა თუ უტილიტარული ნივთის მოდელებს. მისი იდეებით ერთ ნაწარმოებად ჩამოყალიბებული, ფუნქციონალურად ორგანიზებული მოცულობები იქმნება.

შექმნილის აღქმას კომპოზიციისა და პირობითობის სხვადასხვა ხარისხის თანაარსებობა ამძაფრებს. მანქანის მოდელში, ნივთში „ამოძრავების“ - ტრანსფორმიზმის იდეა რეალიზებული. ამ მდგომარეობას დიზაინერის მიერ შემუშავებული ფუნქციური, მობილური, კონსტრუქციული თუ დიზაინერული დეტალები ილუსტრირებენ. მოდელებში შეიძლება სხვადასხვა სტილის ელემენტებიც ნახოთ, მაგრამ ყოველი მათგანი ზედმიწევნით პასუხობს ფუნქციურ მოთხოვნებს და სისადავით და კომფორტულობით, ავტორისეული ხელწერით გამოირჩევა...





HANDMADE
is better

NATIA'S FAVORITE THINGS



თვითნასწავლი ხელოვანი, ნათია ფანოზიშვილი ფაქტურული ნაკეთობების შექმნისას, სტილთან და მასალასთან „თამაშით“, როგორც ჩანს დიდ სიამოვნებას იღებს. მის მიერ შექმნილი აქსესუარები იდენტური სიმძაფრით ანციფერებს, როგორც ობიექტებს, ასევე ხელოვნების შემფასებელს.

ნათიას აქსესუარები ასხივებენ რაღაც რადიკალურად ახალს, თითოეული მათგანი ნატიფი ნაკეთობაა. საავტორო ნაშუქვებში მრავალჯერ იქნა წარმოდგენილი გამოფენებზე საქართველოში და დიდი მოწონება დაიმსახურა.

Self-taught artist Natia Panozishvili apparently relishes while creating textural articles and experimenting with styles and textures. Her accessories, performed in its own technique, surprise with ornamental fantasy and refined composition. Exclusive collection of Natia Panozishvili was presented at the exhibitions in Georgia. Natia's accessories – enjoyed tremendous success at the exhibitions.

